



№1გ/1524-16



## გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით  
საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

27 სექტემბერი 2016 წელი

ქ.თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილმა

ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადარაიას 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებაზე, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს დ.-ს და ა.-ს რკინიგზის დსს შპს დ.-ს ფილიალი საქართველოში დირექტორის ა. ა. ლ.-ს საჩივარი და

### გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ე :

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს წარმომავალი სისხლის სამართლის N092200916004 საქმე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით. ა.-ს რკინიგზის დსს შპს „დ.-ს“ ფილიალის ხელმძღვანელი პირების მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახიდისთვის თავის არიდების ფაქტზე.

მოცემულ საქმეზე, 2016 წლის 21 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიას შუამდგომლობით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსმა პროკურორმა ვანო ოქროპირიძემ და ითხოვა ყადაღის დადება: სს ბანკი „რ.-ში“, სს „თ. ბ.-ში“, სს „ს. ბ.-ში“, სს „ლ. ბ.-ში“, სს „ბ.-ში“, სს „ვ. ბ. ჯ.-ში“, სს „ბ. ქ.-ში“, სს „პ. ბ.-ში“, სს „ს. რ. ბ.-ში“, სს „კ. ბ.-ში“, სს „ა. ს. ბ. ს.-ში“, სს „ზ. ბ. თ. ფ.-ში“, სს „კ. გ. ბ. ს.-ში“, სს „ი. ბ. ს.-ში“, სს „პ. ბ.-ში“, სს „ტ. ბ.-ში“, სს „ხ. ბ. ს.-ში“, სს „პ. ბ. ს.-ში“ და სს „ფ. ბ. ს.-ში“ არსებულ უცხოური საწარმოს ფილიალი „ა.-ს რკინიგზის დსს შპს დ.-ს“ ფილიალის (ს.ნ. XXXXXXXXXX) კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე, რადგან უცხოური საწარმოს ფილიალის მიერ დანაშაულებრივი გზით, გადასახადებისათვის განზრახ თავის არიდებით მოპოვებულია



ფულადი თანხები, რაც განთავსებულია საქართველოში არსებულ ბანკებში და არ მოხდეს ამ თანხების განკარგვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადარაიას 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებით, პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო სს ბანკი „რ.-ში“, სს „თ. ბ.-ში“, სს „ს. ბ.-ში“, სს „ლ. ბ.-ში“, სს „ბ.-ში“, სს „ვ. ბ. ჯ.-ში“, სს „ბ. ქ.-ში“, სს „პ. ბ.-ში“, სს „ს. რ. ბ.-ში“, სს „კ. ბ.-ში“, სს „ა. ს. ბ. ს.-ში“, სს „ზ. ბ. თ. ფ.-ში“, სს „კ. გ. ბ. ს.-ში“, სს „ი. ბ. ს.-ში“, სს „პ. ბ.-ში“, სს „ტ. ბ.-ში“, სს „ხ. ბ. ს.-ში“, სს „პ. ბ. ს.-ში“ და სს „ფ. ბ. ს.-ში“ არსებულ უცხოური საწარმოს ფილიალი „ა.-ს რკინიგზის დსს შპს დ.-ს“ ფილიალის (ს.ნ. XXXXXXXXXX) კუთვნილ საბანკო ანგარიშებს. (იხ:განჩინება)

აღნიშნული განჩინება თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიაში გაასაჩივრა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს დ.-ს და ა.-ს რკინიგზის დსს შპს დ.-ს ფილიალი საქართველოში დირექტორმა ა. ა. ლ.-მ და საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადარაიას 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინების გაუქმება და მისი კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებული ყადაღის გაუქმება.

საჩივარში მითითებულია, რომ საჩივრის ავტორი არ ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადარაიას 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინებას და ითხოვს მის გაუქმებას შემდეგ გარემოებათა გამო. საჩივარში მითითებულია, რომ მათ კომპანიაში საგადასახდო და საბიუჯეტო ანგარიშსწორების შემოწმების მიზნით 2015 წელს ჩატარებულ იქნა კომპანიის შესაბამისი საგადასახდო შემოწმება, რომლის თანახმად კომპანიას პირად საგადასახდო ბარათზე არსებული ზედმეტი თანხის გამო შეუმცირდა საგადასახდო ვალდებულებებზე რიცხული ჯარიმა 848 740 ლარით, ანუ დადგინდა რომ კომპანიას სრულად ჰქონდა შესრულებული ყველა საგადასახდო ვალდებულება. საჩივრის ავტორი უთითებს 2016 წლის 1 მაისიდან 2016 წლის 24 სექტემბრამდე პერიოდზე კომპანიის პირადი საგადასახდო ბარათის ამონაწერის შესახებ, რომლითაც დგინდება, რომ კომპანიაზე აღნიშნულ პერიოდზე დარიცხული დავალიანება შეადგენს 2 414 348, 89 ლარს, მათ შორის გადახდილია 1 882 995, 13 ლარი ხოლო დავალიანება შეადგენს 526, 194, 64 ლარს. შესაბამისად, ვადაგადაცილებულ დავალიანების არ არსებობას გამო ასევე არ ერიცხებათ ჯარიმა. ამასთან აღნიშნავს, რომ მართალია დღის მდგომარეობით არსებული დავალიანება საკმაო საფუძველია იმისა, რომ „განსაკუთრებით დიდი ოდენობით“, გადასახდის დამალვად ჩაითვალოს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ეს დავალიანება ფაქტობრივად დაგროვებულია ბოლო ერთი თვის პერიოდზე და მისი გადახდა მათ შორის დარიცხული საურავით კომპანიის მიერ მოხდებოდა მას შემდეგ, რაც კომპანია გაწეული სამშენებლო სამუშაოებისთვის მიიღებდა შესაბამის ანაზღაურებას თვის ბოლოს. საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მათი კომპანია ასრულებს საერთაშორისო პროექტს „მ. კ.-ს“ რკინიგზის რეკონსტრუქციის პროექტი“, კერძოდ, საქართველოს მონაკვეთზე გათვალისწინებულ სამშენებლო სამუშაოებს. კომპანიის მუშაობაში ასევე დაინტერესებულია საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოები (ა., თ.) და არის სახელმწიფოები, რომლებიც საქართველოზე გავლით სარკინიგზო



ტრანზიტული გზებით არიან დაინტერესებულნი. შესაბამისად, კომპანიას გააჩნია ვალდებულებები აღნიშნულ სახელმწიფოების როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სამართლის სტრუქტურებთან და ჩვენი კომპანიის პროექტის დამთავრებაზე დიდი პასუხისმგებლობა აქვს აღებული, რომ მისთვის პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთს ერთი წლის პერიოდში დაასრულებს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მათი კომპანიის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შედეგად ზიანდება არამარტო მათი კომპანიის ინტერესები, არამედ მათი დასაქმებული პერსონალის, კონტრაქტორი კომპანიების და მათი მომსახურე პერსონალის ინტერესები. ვინაიდან საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადებით არამარტო ჩერდება საქართველოსთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტი, არამედ ვერ ხერხდება კომპანიის კომერციული საქმიანობის განხორციელება. კომპანიას ასევე გააჩნია საკამოდ დიდი მატერიალური ქონება, რომელზეც შეიძლებოდა ყადაღის გამოყენება კომპანიის ფინანსური რესურსების გათვალისწინებით. შესაბამისად კომპანია სრულად პარალიზებულია და ვერ ახერხებს საქმიანობის განხორციელებას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ითხოვს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადარაიას 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინების გაუქმებას და მისი კომპანიის საბანკო ანგარიშებზე არსებული ყადაღის გაუქმებას. (იხ:საჩივარი)

საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი შემოტანილია უფლებამოსილი პირის მიერ კანონით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალები და თავად საჩივარი იძლევა მასში მითითებული გარემოებების ზეპირი მოსმენის გარეშე სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას და არ არსებობს საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვის აუცილებლობა. შესაბამისად, საგამოძიებო კოლეგიამ განიხილა რა საჩივარი და წარმოდგენილი მასალები მიიჩნია, რომ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოებები:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას.

ამდენად, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სხვა საფუძველებთან ერთად, ითვალისწინებს ყადაღის დადებას საბანკო ანგარიშებზე, თუ მის მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. შესაბამისად, აღნიშნულზე უნდა არსებობდეს საკმარისი მონაცემები, ხოლო საკმარისი მონაცემების არსებობა შინაარსობრივად უთანაბრდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. ამდენად,



გამოძიების ეტაპზე ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელებისას, მათ შორის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შესახებ განჩინების გაცემისას, სასამართლო ხელმძღვანელობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, რომელიც მტკიცების უფრო მაღალი სტანდარტისაგან განსხვავებით, არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით, დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობაში.

კონკრეტულ შემთხვევაში, საგამოძიებო კოლეგია იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს, რომ ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც შეეხება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეს იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იმისათვის, რომ ზ/აღნიშნული ყადაღა დადებულ საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხები შესაძლებელია მოპოვებული იყოს დანაშაულებრივი გზით. საჩივრის მოტივს გარდა საჩივარში აღიარებული დავალიანებისა სხვა ნაწილში ბიუჯეტის წინაშე ანგარიშვალდებულების სრულად შესრულების შესახებ საგამოძიებო კოლეგია ვერ გაიზიარებს არასაკმარისი არგუმენტების გამო, რამეთუ გამოძიების მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებისა და საბაჟო დეკლარაციების რეესტრის მიხედვით იკვეთება საპირისპირო ვითარება, თანხების ბრუნვის, მომსახურების გაწევის და შესყიდვის თაობაზე. გამოძიების მიმდინარეობას ჭირდება სათანადო ღონისძიებების განხორციელება და არა ხელშეშლა, რათა ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნას ყადაღის გამოყენების მიზანი, საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ შეესაბამება ყადაღის მიზნების აღსრულებას და ვერ გადაწონის საბანკო ანგარიშებზე ყადაღის მოხსნის აუცილებლობას, რომ არა თანხის გადამალვის გარემოება გამოძიების წინაშე არ დადგებოდა საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების საჭიროება. დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხის გადამალვის და გახარჯვის საფრთხის აღმოფხვრის ერთადერთი ღონისძიება არის ყადაღის გამოყენება საბანკო ანგარიშებზე, მის რელევანტურობის საწინააღმდეგოდ დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია რეალური არგუმენტები და საჩივარში შემოიფარგლა ვითარების ზოგადი მიმოხილვით, რაც ამ ეტაპზე ვერ გახდება ყადაღის განჩინების გაუქმების საფუძველი. ამასთან საჩივრის ავტორს არ წარუდგენია ალტერნატიული ქონება ყადაღის გამოსაყენებლად, რაც შესაძლოა გამხდარიყო მსჯელობის საგანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საგამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს **დ.-ს** და **ა.-ს** რკინიგზის დსს შპს **დ.-ს** ფილიალის საქართველოში დირექტორის **ა. ა. ლ.-ს** საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

აქვე, საგამოძიებო კოლეგია განმარტავს, რომ ქონებაზე ყადაღის დადება, როგორც დროებითი ღონისძიება, გამოიყენება მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების მოთხოვნათა შესაბამისად, რომლის გათვალისწინებითაც იგი შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დაცულ საკუთრების უფლებას.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი :



ვიხელმძღვანელებ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-152-ე, 156-158-ე, 207-ე მუხლებით და

და ვ ა დ გ ი ნ ე :

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს დ.-ს და ა.-ს რკინიგზის დსს შპს დ.-ს ფილიალის საქართველოში დირექტორის ა. ა. ლ.-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე რევაზ ნადარაიას 2016 წლის 21 სექტემბრის განჩინება, უცხოური საწარმოს ფილიალი „ა.-ს რკინიგზის დსს შპს დ.-ს“ ფილიალის (ს.ნ. XXXXXXXXXXX) კუთვნილ საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადების შესახებ.
3. განჩინების ასლები შესასრულებლად და ცნობისათვის, გაეგზავნოთ და გადაეცეთ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 207-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ შესაბამის პირებსა და ორგანოებს;
4. განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

მოსამართლე  
გიორგი გოგინაშვილი